

# სალოგოზრდა ვეროელო

გზებითი გამორღის  
1921 წლიდან

საზოგადოვარკივ-პოლიტიკური გავათი

ფასი 10 კაპ.

## ქრონიკა, ინფორმაცია

**ხვალ,** 27 თებერვალს 10.00 საათზე უზენაესი საბჭოს სხდომა-თა დარბაზში ვაიხსნება საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა.

**საპარტვილოს** რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა ახალქალაქის რაიონში პრეფექტად დანიშნა **გიორგი ანტონის ძე ვაძუაბაძე**.

**საპარტვილოს** დამოუკიდებელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია **ჰენალ ფრიდონის ძე შიქვალაძე**.

**ფოტოლოკუქენტები  
მოგვიოსნობენ**



## მიტინგი კინოს სახლთან

23 თებერვალს თბილისის კინოს სახლთან ვაიხაროთა მიტინგი, რომელიც მოაწყვეს საქართველოს ეროვნულ კონგრესში ვაერთიანებულმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა. მიტინგზე ითქვა, რომ საჭიროა ოფიციალურად განსა-


ზღვრონ საქართველოში მყოფი საბჭოთა არმიის ნაწილების სტატუსი, დაუყოვნებლივ ვაიყვანონ ისინი რესპუბლიკის ტერიტორიიდან. ვამოითქვა აგრეთვე მოთხოვნა ამ დღეებში დააბრუნებულნი „მხედრონი“ ორგანიზა-

ციის ზელმძღვანელთა განთავისუფლების შესახებ.  
მიტინგზე ვამოვიდინენ და საბჭოთა არმიის სისხლიანი მოქმედება ვაკრიტიკეს სტუმრებმა — ბალტიისპირეთის, უკრაინის, ბელორუსის, სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქმენეთის, სხვა რესპუბლიკების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა წარმომადგენლებმა.

კინოს სახლთან მიტინგის დამთავრების შემდეგ მისმა მონაწილეებმა შეცვალეს თავიანთი თავდაპირველი განზრახვა — მისულიყვნენ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბთან. მომიტინგეთა ნაწილი პროსპექტით მთავრობის სახლთან მივიდა.  
**ზურაბ ბრქალიშვილი,**  
საქინფორმის კორ.

## ზვიად გამსახურდია — საქართველოში მხროვრავ არაქართველებს

ვიყოთ მგობრულად, ვიყოთ მშვიდობიანად, ჩვენ არასოდეს არ დავარღვევთ თქვენს უფლებებს, ოღონდ თქვენც ნუ შეიცდებით დაარღვიოთ საქართველოს რესპუბლიკის კანონები, მაშინ ჩვენ შორის იქნება მშვიდობა და კეთილი დამოკიდებულება და არასოდეს არ მოხდება არაქართველი მოსახლეობის დისკრიმინაცია.



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ **ზვიად გამსახურდია**ს პრესკონფერენციიდან საქართველოს, საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებთან. პრესკონფერენციის ანგარიში  
**იხ. გვ-2 გვ.**

## „მეგობლიათ წაიკითხოთ

საარქივო  
დოკუმენტები  
მოგვითხროვან  
**„რეპოლენიზერ  
დროის კანონების  
თანახვად“**


**გვ-3 გვ.**

ვიცოდათ ჩვენი  
ისტორია  
**აბრუსიის ნინ**  
**გვ-6 გვ.**

# რას უმძროს ამაზე თავგადასმარ?

„ზამთარში“, „შენაბადაში“ არ-  
მიის მოქმედების შეფასება, „მხე-  
დრონის“ ლიდერთა დაპატიმრე-  
ბა, მძიმე ეკონომიკური ვითარე-  
ბა — რესპუბლიკაში — აი, ძირი-  
თადად კითხვები, რომლებიც და-  
უსვენს საქართველოს უზენაესი  
საბჭოს თავმჯდომარის ბატონ  
ზვიად გამსახურდიას ქართველმა,  
საბჭოთა და უცხოელმა ჟურნა-  
ლისტებმა აქ გამართულ პრეს-  
კონფერენციაზე.


ებში ცენტრის უხეში ჩარევა. ხო-  
ლო, რაც შეეხება გასამხედროე-  
ბული ორგანიზაციის „მხედრო-  
ნის“ ლიდერთა დაპატიმრებას, ეს,  
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის  
რწმუნით, იყო საქართველოში შე-  
ქმნილი ისედაც დაძაბული ვითარ-  
ების სტაბილიზაციისათვის, „შე-  
ნაბადაში“ „კრემლის სპექტაკლის“  
განვითარების თავიდან აცილები-  
სათვის გამიზნული საჭირო ღონის-  
ძიება. თორემ, მიაჩნია მას, საქა-  
რთველო ვერ გადაურჩებოდა სა-



განგებო ვითარებას.  
— ახლა ჩვენს რესპუბლიკის  
მძიმე ეკონომიკური კრიზისი და-  
უღდა, — თქვა შემდეგ რესპუბ-  
ლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯ-  
დომარემ. — შინაგანი და გარეშე  
დესტრუქციული ძალები ხელს  
უშლიან ახალ ხელისუფლებას „გა-  
ნახორციელოს დასახული ეკონო-  
მიკური რეფორმები. მხოლოდ ვი-  
თარების სტაბილიზაცია დაღწე-  
რება საქართველოს თავი დააღ-  
წიოს ეკონომიკურ სიძნელეებს.  
ამისათვის კი საჭიროა რესპუბლი-  
კის მთელი განსული ძალების კონ-  
სოლიდაცია.

ზიად გამსახურდიამ,  
პაატა ცინცაძემ,  
საქინფორმის კორ.

ზივი კიკვაძის ფოტოები.  
(საქინფორმის ფოტოკრიზია).



ცენტრმა, თავის მარიონეტთან  
ოს ექსტრემისტებთან ერთად, სა-  
ქართველოს წინააღმდეგ ნამდვილი  
ომი გააჩაღა.

— ბალტიისპირეთის რესპუბლი-  
კებისაგან განსხვავებით საქარ-  
თველოში არ არის ინტერფერენტი,  
— განაცხადა ბატონმა გამსახურ-  
დიამ, — მაგრამ აქ ნაკლები წა-  
რბატებით როდი ცვლის მას შიდა  
ქართლში მოკალათებული ოსური  
ეთნოკრატია. სწორედ მას და მის  
ძმალერ მფარველ კრემლს, და არა  
ოს ხალხს, ეკისრებათ ბრალი  
იმის გამო, რომ გრძელდება სისხ-  
ლისღვრა სამაჩაბლოში.

პრესკონფერენციაზე ბატონმა  
ზვიად გამსახურდიამ ერთხელ კი-  
დეგ დაგმო „შენაბადაში“ საბჭო-  
თა არმიის ნაწილების უკანონო  
მოქმედება. ეს ინციდენტი მან  
დაახასიათა როგორც სუვერენუ-  
ლი რესპუბლიკის საშინაო საქმე-



## სრულიად საქართველოს საზოგადოებრივი ასოციაცია „ამალეზის“

### განცხადება

საქართველოში თანდათან რთუ-  
ლდება საზოგადოებრივ-პოლი-  
ტიკური სიტუაცია, რასაც ხელს  
უწყობს:

1. საბჭოთა იმპერიის მორიგი  
მცდელობა მოაწყოს საქართვე-  
ლოს რესპუბლიკის ხელახალი  
ოქუბაცია, დაამშოს ეროვნული,  
ხალხის მფარველი ხელისუფ-  
ლება და ამით ქართველობას მო-  
უსწრაფოს დამოუკიდებლობისა-  
ღი სწრაფვა.
2. საბჭოთა იმპერიის მფარვე  
ინსტირირებული ოსი ექსტრემისტე-  
ბის დაუოკებელი სურვილი, რაც  
შეიძლება სწრაფად მოხდეს, მა-  
თივე წყალობით, ქართველების  
შეიარაღებული დაპირისპირება  
საბჭოთა ქართან.
3. ე. წ. „ეროვნული ოპოზიცი-  
ის“ მოქმედება, რაც სინამდვილე-  
ში სხვა არაფერია, თუ არა ეროვნ-  
ული უზენაესი საბჭოსა და გან-  
საკუთრებით მისი თავმჯდომარის  
დისკრედიტაციის მცდელობა.
4. ეკონომიკური კრიზისი, ყო-  
ველდღიური მოხმარების საგნები-  
სა და აუცილებელი პროდუქტე-  
ბის დეფიციტი, რის ფონზეც იმ-  
ძლავრა სპეკულაციამ.

5. პარტოკრატულ-ეკონომიკური  
თარეში, მაფიოზური ქმედება,  
რაც უფრო და უფრო ხშირ შემ-  
თხვევაში უკავშირდება ე. წ.  
„ეროვნულ ძალებს“.
  6. დანაშაულის კატასტროფულ-  
ი ზრდა (მათ შორის მკვლელო-  
ბების), მექრთამეობა, კორუფცია,  
მომხვეველობა, მუქთახორბა და  
ა. შ.
- ასოციაციას განსაკუთრებით  
აღელვებს ქართველთა შორის გა-  
ჩაღებული პაექრობა, შუღლი,  
დაუნდობლობა და გაუტანლობა,  
რაც მომავლენობად მოქმედებს  
ისედაც და ცემულ ეროვნულ (ნო-  
ბიერებაზე).
- ყოველივე ამის გათვალისწინე-  
ბით ასოციაცია „ამალეზის“ მო-  
უწოდებს ყველა ქართველს, ყვე-  
ლა სახის ორგანიზაციას, დაწესე-  
ბულება-სასწავლებელს:
- ამ გაკვირვების ყამს, როცა  
წყდება საქართველოს მომავლის  
ბედი, აუცილებელია ეროვნულ-  
ზნობრივი იდელებისა და ჩვე-  
ვების, ტრადიციული ქართული  
კაცთმოყვარეობისა და პატივის-  
ცემის მოხმობით გავერთიანდეთ  
ერთ ძალად, ძალად, რომელიც  
ააღორძინებს ეროვნულ სულს;

ძალად, რომელიც გვერდში ამო-  
უღდება ეროვნულ უზენაეს  
საბჭოს, ეროვნულ მთავრობას,  
ძალად, რომელიც უზენაესს არ  
მისცემს პარპაშის საშუალებას და  
რომელიც აღსდგება ყოველგვარ  
კი არაეროვნული, არაზნობრი-  
ვი, ერის ინტერესების შემლახავი  
ქმედების წინააღმდეგ.


ასოციაცია „ამალეზის“, რო-  
მლის მიზანია ეროვნულ-ზნობრ-  
რივი იდელების, ტრადიციულ  
ღირებულებათა და ეროვნული  
კულტურის აღორძინება-განვითა-  
რება, ეროვნული ცნობიერების  
ამოღება, წარმოადგენს ეროვნუ-  
ლი საზოგადოებრივი მოძრაობა  
„თანადგომის“ დაფუძნების თა-  
ოსან ორგანიზაციას. მოძრაობა-  
სა, რომლის ძირითადი მიზნები  
გამომდინარეობს თითოეული  
ჩვენთაგანის, მთელი ერის ინტე-  
რესებიდან. მოუწოდებთ საზო-  
გადოებრივ ორგანიზაციებს, აჭ-  
ტიური მონაწილეობა მიიღონ მო-  
ძრაობაში.

თანამემამულეო!  
ასოციაცია „ამალეზის“ მოგი-  
წოდებთ, თანადგომა გავუწიოთ  
ერთმანეთს, ეროვნულ ხელისუფ-  
ლებას, მთლიანობაში — საქარ-  
თველოს!

ველა კობახიძე,  
ასოციაცია „ამალეზის“ თავ-  
მჯდომარე;

ვენიკ კაიშაური,  
ასოციაცია „ამალეზის“ გენე-  
რალური მდივანი.

# „25 თებერვალი — საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობის დღე“ (!?)



25 თებერვალი — ქართველთა  
ეროვნული დამონების დღეს სა-  
ქართველო ათწლეულების განმა-  
ვლობაში წითელი დროშების ფრი-  
ალითა და ბუქნა-ბუქნაობით ხვე-  
ბოდა. ეს ჩვენი ისტორიის სამარ-  
ცხვინო ფურცლებია. გულისამრე-  
ვია ძველი დოკუმენტების ფურცე-  
ვა, რომელიც თვალნათლივ გვა-  
ნახებს „ერის მამათა“ გადაგვარე-  
ბას, ძალღერ ეროვნულებას დიდი  
ძმის წინაშე. ერთ ასეთ „უმნიშვ-  
ნელო“ დოკუმენტს (სხვებთან შე-  
დარებით მართლაც უმნიშვნელო)  
გაგაცნობთ ახლა:

სრულიად საქართველოს საბჭო-  
ების პირველი ყრილობის დადგე-  
ნილების შესახებ უნდა აღვნიშნოთ  
საქარ-  
თველოს ნამდვილი დამოუკიდებ-  
ლობის დღესასწაული შეფარდებუ-  
ლი იქნეს სრულიად საქართველოს  
საბჭოების პირველი ყრილობის  
დღესთან — თებერვლის 25-თან.

სრულიად საქართველოს ცენტ-  
რალური აღმ. კომიტეტის თავ-  
მჯდომარე — ფ. მახარაძე, ცენტ-  
რალური მდივანი — მ. მდივა-

ნი თ. კლანდაძე, 1922 წ. მა-  
ისის 29.

ტფილისი — სახალხო  
(ცხ. ახ. იხტ. არქივი, ფ. 284,  
აღ. 4, საქ. 1, ფ. 9).  
ეს პატარა ქალაქი ერის და-  
ცინვავ. მოისურვეს და ოკუპაციის  
დღე „ნამდვილი დამოუკიდებლობის  
დღე“ გამოგვიცხადეს, მაგ-  
რამ ისტორიაში არაფერი იმალემა  
და ქართველთა აზროვნებაში ღრმად  
ჩაბეჭდილი 26 მაისი დღეს კვლავ  
აღსდგა საქართველოსათვის, რო-  
გორც ეროვნული დამოუკიდებლობის  
ნამდვილი დღესასწაული. 25  
თებერვლის ტრადიციული დღე ყო-  
ველთვის გაფრთხილება იქნება  
ჩვენთვის, მომავალი თაობებისთ-  
ვის.

საქართველოს უახლესი ისტო-  
რიის არქივის თანამშრომელი:  
ნონა ხატიშვილი.

## გენის გლარჩენისთვის

იუბილარი მისდამი მიძღვნილ  
საბჭოს არ ესწრებოდა. ქართველი  
ტრადიციონალისტები კი, ტრადი-  
ციულად, ნელ-ნელა გროვდებოდ-  
ნენ სანდრო ახმეტელის სახელო-  
ბის გლდანის დრამატულ თეატრში.

ბატონიშვილ გიორგის დაბადე-  
ბის დღეს საქართველოში გარკვე-  
ული ნაწილი აღნიშნავს — ბეჭრი  
არა. არადა, მონარქიულ ქვეყნებში  
უფლისწულის დაბადების დღე ერო-  
ვნული დღესასწაულია. და თუ  
დღი ქართველი მეცნიერის — ივა-  
ნე ჭავჭავაძის ნათქვამს — სა-  
ქართველოს ისტორია მეფეთა ის-  
ტორია არის — დავევთავსებთ,  
ჩვენი ისტორია 1801 წელს დას-  
რულებული, ხოლო უკანასკნელმა  
სამოცდათმა წელმა, სავრთოდ ბი-  
ოლოგიურ ქართველებად გადაგვა-  
ქცია.

გენი უნდა დავიბრუნოთ, ქარ-  
თული ცხოვრების წესი უნდა და-  
ვებრუნოთ და ვიამაყოთ... ეს არის  
ქართველ ტრადიციონალისტთა კა-  
ვშირის მიზანი.

სანდრო ახმეტელის სახელობის  
თეატრში კი ქართველ ტრადიციო-  
ნალისტთა კავშირის გლდანის რე-  
გიონის წარმომადგენლები ზეიმო-

ბღნენ თავიანთ დღესასწაულს.  
თავმჯდომარემ, გია გვამიაშვილ  
თხრა: პირველ რგვში, ამ შეხვედ-  
რის მიზანი მიიწინებულ ქართუ-  
ლი ხულის გაღვივება, მერე უკვე  
— ადგილობრივი არჩევნებისათვის  
შეადგება. გვსურს, რაც შეიძლება  
მალე ვნახოთ საქართველოს სა-  
მეფო, მალე აღვადგინოთ ქართვე-  
ლთა ბუნებრივი განვითარების ხა-  
ზი, რომელიც 1801 წელს უკანას-  
კნელ მეფესთან ერთად დაკარგეთ,  
რაც შეიძლება მალე დამდგარიყ-  
ვენს ქართველები ერთად თამარი-  
ანის, დავითიანის, ვახტანგის დრო-  
შის ქვეშ.

ტრადიციონალისტები უფლის-  
წულ გიორგის თავისუფალი საქა-  
რთველოს სიმბოლოდ სახავენ. და-  
მოუკიდებლობამდე მისასვლელად  
ყველამ საკუთარი გზა აირჩია. აღ-  
ბათ ზოგი მიიღწეეს მიზანს, ზო-  
გიც — ვერა, მაგრამ ვფიქრობთ,  
ეს არ არის მთავარი, მთავარია ერ-  
ოვნულობის არდაკარგვა, ქართუ-  
ლი სულისა და გენის გადარჩენა.


საკუთარი ინფორმაცია



## პითაკაზა შიდა ქართლში

როგორც უკვე ვიუწყებოდით,  
უკანასკნელ დღეებში სამაჩაბ-  
ლოში ძალიან დიძაბა ვითარება.  
ოსი ექსტრემისტები ახორციელებ-  
დნენ ფართომასშტაბიან შეიარა-

ღებულ თავდასხმებს მშვიდობიან  
ქართულ მოსახლეობაზე, საქარ-  
თველოს მილიციის მუშაეებსა და  
სსრ კავშირის შინაგანი ჯარების  
ნაწილებზეც კი. არის მსხვერპლი.



„დეკრეტი“, „ბრძანება“, „დადგენილება“ — ეს სიტყვები ადამიანთა უმეტესობაში რაღაც „კაზონური“ და უსულგულოს, უფერულისა და უსახოს ასოციაციას იწვევს, მაგრამ, თურმე, ემოციების რა ფერადოვანი გამის ამოცნობა შეიძლება ამ, ერთი შეხედვით, ნაცრისფერი ერთფეროვნების მიღმა, რა მკაფიოდ იკვეთება ამ დოკუმენტების შემქმნელთა სახეები, სურვილები თუ მიზნები. გადაფურცლეთ საბჭოთა საქართველოს პირველი წლის ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივშია დაცული და თქვენ თვითონ დარწმუნდებით ამაში.

პირველი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც მიუღია საქართველოს ახალ ხელისუფლებას, თავს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონურ კომიტეტს რომ უწოდებს, არის დეკრეტი „ამინისტიის შესახებ“. მისი ჩაკითხვის შემდეგ ბევრს მოადგება ირონიული დიმილი და იტყვის: „ფიცი მჭამს, ბოლო მაკვირვებს“. ამ დაცვის გამოტანაში ალბათ დროის დისტანციასაც ექნება გარკვეული წვლილი, მაგრამ ის, რაც შეიძლება ათეული წლის განმავლობაში მომხდარმა ამბებმა დაგვიდასტურა, უკვე დღეს ამ დოკუმენტში.

„საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური მთავრობა, მოკლედული შურის ძიების ყოველ გარძობას თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიმართ, რომელნიც თითქმის სამი წლის განმავლობაში ახშობდნენ მშრომელთა მასის ყოველივე მიწრაფვებს, მი-

ქალაქში, მთელ სახელმწიფო ძალა-უფლებას თავის ხელთ იღებს და უბრძანებს:

1. ბრძოლა საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც მხოლოდ ჩამოგდებულია და ჯერ არ გვინდობა, უნდა იქნეს წარმოებული გამძივრებული ენერგიით.

2. სახელმწიფოს ყველა დაწესებულებანი, ქალაქისა და ერობის თვითმმართველობანი, სამოქალაქო და საერო მთლიანად და საერთოდ ყველა თანამდებობის პირნი უნდა დარჩნენ თავიანთ ადგილებზე და განაგრძონ ჩვეულებრივი მუშაობა.

3. რევოლუციონური წესრიგი უნდა დაცულ იქნეს სასტიკად: საბოტაჟეები, წინააღმდეგობის გამწვენი და წესიერების დამრღვევნი დასჯილ იქნებიან რევოლუციონური დროის კანონების სიმკაცრით.

საქ. ს. ს. რ. რევკომის თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი რევკომის მდივანი დ. დუმბაძე 1921 წ. თებერვლის 26.

იმავე დღეს მიღებული № 2 ბრძანებით კი უკვე იქმნება საგანგებო კომისია სპეკულაციასთან, საბოტაჟთან და თანამდებობის პირთა ბოროტმოქმედებასთან საბრძოლველად. ლაპარაკია დაუნდობელ ბრძოლაზე, დატუსაღებისა და ჩხრეკის წესებზე...

პირველად 1 მარტის № 4 ბრძანებაში გამოკრთა იმ ტენდენციის ნაბერწყალი, რომელიც შემდეგ სახელმწიფოს მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შტრიხად იქცა. ამას ჯერ დაბეზულებასაც ვერ დაარქმევს ვერავინ. ახალი სახელმწიფოს ხელმძღვანელობა, მშრომელთა მიერ და მშრომელთათვის შექმნილი სახელმწიფოს

ტენიებს, უკვე ჩაბუდებით იმათ, ვინც ასეთი რისიკით მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში. ამიტომაც ქმნიან საგანგებო კომისიებს, უმაღლესი რევოლუციონური ტრიბუნალის კოლეგიებს, შეკავებ მის შემადგენლობაში უცხო ტომის ხალხი, თუმცა, არც თვითონ უკანკალებთ ხელი თანამემამულის დასჯისას.

და მინც ისტობარს არ იტყვენ. ბეჭდავენ თავიანთ ბრძანებებსა და დეკრეტებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამთავრობო ბიულეტენის მეორე მხარეს. აქაოდა, ხომ ხედავთ, როგორ გავაქარწყულთ მენშევიკური მთავრობის ის იმედინი განწყობილება, რომელიც მან სულ რაღაც 4 დღით ადრე, 21 თებერვალს გამართულ დამფუძნებელი კრების სხდომაზე გამოხატათ. ამ სხდომის ანგარიში, ფრაგმენტების სახით, რამდენიმე ბრძანების მეორე მხარეს არის შემორჩენილი.

მხნე და იმედიანი განწყობილების საფუძველი, ალბათ, ჰქონდა დამფუძნებელ კრებას. 19 თებერვალს თბილისის ასაღებად მომდგარი წითელი რაზმი მოიგერიეს ჯარმა და გვარდიელებმა, 21 თებერვალს დამის 10 საათსა და 18 წუთზე საქართველოს კონსტიტუცია მიიღეს. როგორც დამფუძნებელ კრებაზე მისმა თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ განაცხადა, ლორიდან დაწყებული უკანადახვევისა და ბორჩლოს მახრინდან ჯარების გამოყვანის მიუხედავად, მთ შებლებს ამ დროის განმავლობაში მტრის წინააღმდეგ გამოეყვანათ საუკეთესოდ გაწვრთნილი, შეიარაღებული და ერთსულოვნებით გაუდენილი ჯარი. დამფუძნებელი კრების დამსწრენი ფეხზე აღდგომით, ტუმის ცემითა და „პაშას“ ძახილით შეესალმნენ ჯარსა და გვარდიას.

ნოე ჟორდანიას გამოსვლაში გაისმა სიტყვები, რომ „ჩვენს ხალხში გაიღვიძა, იფეთქა ჩვენი ძველი წინაპრების სისხლმა, იმ წინაპრებისა, რომელნიც დიდ მოზღვავებულ მტერს მცირე გუნდით ამარცხებდნენ... რომ „თვლილი არის და უნდა გადავავტოვოთ საქართველოს ვერდენად...“ რომ სწორედ თვლისთან გაითხრება ნამდვილი სამარე ჩვენი მოწინააღმდეგისა“.

მის სიტყვებს ხალხი ვაშით და ტაშით ხვდებოდა. თითქოს ყველაფერი ნათელი იყო. აშკარა მტრის — ბოლშევიკების განზრახვისა და გეგმის შესახებაც იცოდნენ, მოყვარე მტრის ზრიკებსაც ხვდებოდნენ, საკადრისი პასუხის გაცემასაც უპირებდნენ...

„იღებს რა მხედველობაში, რომ საქართველოზე თვდასხმაში მონაწილეობას იღებენ ქართველი ხალხის უღირსი შვილი, დამფუძნებელი კრება ადგენს: ყველა ქართველი, რომელიც პირდაპირ მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლაში ან ამ ბრძოლას აქტიურ დახმარებას უწევს, გამოცხადდეს საქართველოს ხალხის მოალატელ, ჩამორთვის მთელი ქონება და მოესპოს საქართველოს კანონთა მფარველობა. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა მიენდოს მთავრობას“.

დამფუძნებელი კრების დადგენილებით აღნიშნული ჯგუფის წევრები, რომლებიც მოუძღოდნენ რუსეთის საბჭოთა ლაშქარს საქართველოს წინააღმდეგ გამოცხადებულ იქნენ ქართველი ხალხის მოალატელ.


დამფუძნებელი კრების მიერ მოლატებულ შერაცხული ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, გუდუ მდივანი, შალვა ელიაშვილი, მისიელ ოკუპანაძე, ლადო დუშაძე, ომარ ფაჩიძე, ანაბა ნაზარეთიანი, ალექსანდრე ბეზუჟაძე და ბესო კვიციანი ამ ამბიდან ერთი კვირის შემდეგ ერთმანეთში ინაწილებდნენ საგანგებო კომისიების თუ სხვა პრესტიჟულ სავარძლებს... და გამოსცემენ დადგენილებებს: „წითელ არმიელთა მიერ დატოვებული უფარგის ცხენების შესახებ“, „უშუშვარდათავის მუშაობაზე უარის თქმის აკრძალვის შესახებ“, „საბჭოთა რუსეთის დამშეულთა დახმარებ ცენტრალური კომიტეტის დაარსების შესახებ“, „წისკვილის შემოსავლის დაბაჟვის შესახებ“, „ტყავის მოსაქმეთა დროებითი მოზიწაციის შესახებ“. მშრომელთა გულს იგებენ იმით, რომ გამოსცემენ № 6 ბრძანებას, რომლის ძალითაც „ყველა სახმედრო და სამოქალაქო ორგანიზაციას, მთავრობის დაწესებულებებს და სხვა ყოველგვარი თანამდებობის პირთ, რომლებიც ჩამოდიან ან უკვე საქართველოში არიან, სასტიკად ეკრძალებათ შესყიდვა საქართველოს ხალხზე საგნებისა და ყოველგვარი მასალებისა, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში რევოლუციონური კომიტეტის ნებდაურთველად“; „დეკრეტს მასწავლებელთა და მოწაფეთა სახმედრო ბეგარისაგან განთავისუფლების შესახებ“, „წითელ არმიელთა და მათი ოჯახების უზრუნველყოფის შესახებ“...

ალიზანენენ № 7 ბრძანების გამოცემით: „დროებით, ახალი დადგენილების გამოცემამდე შეჩერებულ იქნეს ყოველგვარი შეხვედრების მიცემა, გარდა სერიოზული ავადმყოფობის გამო და ამ უკანასკნელ შემთხვევაში მხოლოდ სათანადო პროფესიონალური კავშირის ნებართვით“; რკინიგზის სადგურის ბუფეტებში, აგრეთვე მთელი რკინიგზის ხაზის გასწვრივ ღვინით ვაჭრობისა და ღვინის სხის აკრძალვით.

აშინებენ თითქმის ყოველი ბრძანების ქვეშ მიწერილი სტრუქტურით: „ყველა ის პირი, რომელიც დაარღვევს ამ დადგენილებას, მიეცემა სასტიკი პასუხისმგებლობაში რევოლუციონური დროის კანონების თანხმად“.

გულის მოგება, ვალონიანება, დაშინება — სამი უმთავრესი მახასიათებელი იმ პირველი წლისაც და მომდევნო შვიდი ათეულისაც. ამ ყველაფერზე ცოცხლად, ფერადოვანად გვიამბობენ ერთი შეხედვით მშრალი, ნაცრისფერი დეკრეტები, დადგენილებები და ბრძანებები, ახლა უკვე მოწყენით მდებარენი არქივის თაროებზე.

**გულნარა გასარული**  
წინა და ამ ნომრისთვის საარქივო დოკუმენტები მოგვამოდა საქართველოს კინო-ფოტო-ფონო დოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივის განყოფილების გამგე მზია ქუცნიაშვილმა, რისთვისაც რედაქცია მას მადლობას უხდის.



მართულს საბჭოთა ძალაუფლების დამყარებისაკენ, და რომელიც გაფრთხილებს ხელმძღვანელებს და გლეხებს კომუნისტურ პარტიას ბურჟუაზიულ სახელმწიფოებრიობის ხელისუფლების მთელი აპარატის საშუალებით, — ადგენს: გამოცხადებული იქნეს ამინსტია ყველა იმ პოლიტიკურ პარტიებისა, ჯგუფებისა და პირებისა, რომელნიც აქტიურად გამოდიოდნენ საქართველოს საბჭოთა ძალაუფლების და კომუნისტურ პარტიის წინააღმდეგ.

ამ ამინსტიის ძალით არც ერთი წევრი ამგვარი პოლიტიკური პარტიებისა და, საერთოდ არავინ, არ უნდა იქნეს დატუსაღებული, მიცემული სამართალში ან აღმინისტრაციულად დევნილი იმ ბოროტ მოდერნიზატორების, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა ძალაუფლების და საქართველოს კომუნისტურ პარტიის წინააღმდეგ.

დეკრეტი ეხებ ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა. რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარე. ორახელაშვილი. 1921 წლის 25 თებერვალი, ქ. თბილისი“.

ხედავთ, „ჩამოგდებულია“ მიმართ რა დიდსულოვნებას იჩენს ხელისუფლების სათავეში ახლად მოსული ძალა. ეს დიდსულოვნება, გულწრფელი რომ იყოს, ისეთია, ეპითეტსაც ვერ მოუძებნი.

ასეთივე „დიდსულოვნება“ რევოლუციონური კომიტეტის პირველი ბრძანებაც, თუმცა ბოლომდე ვერა.

„მშრომელთა ხალხის აჯანყებით ჩამოგდებული საქართველოს ყოფილი მთავრობა უარდანიას მეთაურობით ოფიცერთა და იუნკერთა რაზმების დამარცხების შემდეგ დასავლეთ საქართველოს გადავიდა.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტი შემოვიდა რა დღეს დედა-

ხელმძღვანელობ, „უწყებს ხალხს, რომ „ყველა თანამდებობის პირნი და მოქალაქენი, რომელთაც აქვთ ცნობები ყოველგვარ საწყობების შესახებ, მოვალენი არიან აუწყონ აღნიშნულ კომისიას, თუ სად არის მოთავსებული ამგვარი საწყობები (შემდეგის მისამართით: სახსლზე, ოთახი № 6).“

მერე უკვე 10 მარტის № 12 ბრძანება: „ყველა სახლის კომიტეტებს, ხოლო სადაც ისინი არ არიან, სახლის პატრონებს, ან იმ პირთ, რომელნიც მათ ნაცვლად არიან, ევალებათ ორი დღის განმავლობაში წარადგინონ საქართველოს ბეჭდვითი საგამომცემლო განყოფილებაში (რუსთაველის პრ. 23). სწორი ცნობები მათ სახლში მოთავსებულ ყველა ქალაქის საწყობის შესახებ“.

ჯერჯერობით მათ, ვინც არ აუწყებს „სწორი ცნობებს“ ამა თუ იმ გადასაღებულ ქონების შესახებ, ან ვინც, უბრალოდ, არ იცის ამის შესახებ, „ხალხის მტრის“ იარაღს არ აკეთებენ, მაგრამ მალე დაიწყება 24 წელი, მერე... 37. მათ შორის პერიოდშიც ბევრი მსხვერპლი იქნება, მაგრამ ამ წლების „მასშტაბის“ ფონზე არაფრად გამოჩნდება, იმდენად, რომ „საკუთარი წლების“ სახელი არ დაერქმევა.

ის შიში კი, რომელიც წლების განმავლობაში თანდათან გაიზარდა და მთავრობას თავისი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებს დახვრეტებებს, წამებით მოაკლევინებს, უცხო მხარეში გადასახვეწად გააქ-







# გორის ელცინი: მე ჩემი პრეზენტი გავაკეთე

## გორის ელცინის ტელეინტერვიუდან

ქალაქი მთავრი და, ცხადია, არაპრეზიდენტული გარემოებაა გარემოება რუსის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის გორის ელცინის 1991 წლის 19 თებერვლის ტელეინტერვიუში. ზნეობრივად გავითვალისწინოთ — „კომსოლომსკაინი პრეზიდენტი“ (№ 43, 1991 წ.) და „არაპრეზიდენტი“ (№ 8, 1991 წ.) მასალის მიხედვით მოგვადგა უზენაესი საბჭოს, რომელიც, ვფიქრობთ, გულგრილად არც ჩვენს მიმართულს დატოვებს.

გორბაჩოვმა 1985 წლის შემდგომ პირველ ორ წელიწადს ერთგვარი იმედი ჩაუსახა ბევრ ჩვენსგან... ის, მართალია, დაპირებებს იძლეოდა, მაგრამ, ვფიქრობ, მინიმალური კარგად როლი ჰქონდა წარმოდგენილი თუ როგორ შეიძლება მათი შესრულება. აღამინებს იმედი ჩაუსახა, თავად კი სულ სხვა კანონებით დაიწყო მოქმედება. ეს განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში გამოვლენილია. საესებო ცხადი გახდა, რომ, ცდილობს რა შეინარჩუნოს სიტყვა „გარდაქმნა“, მას რაიმეს არსებობაზე გარდაქმნა კი არა, სისტემის, მკაცრი ცენტრალიზებული ხელისუფლების შეინარჩუნება სურს და არ მისცემს დამოუკიდებლობას რესპუბლიკებს და მათ შორის პირველ რიგში რუსეთს. სწორედ აქ გამოვლენილია მისი ანტიდასავლური პოლიტიკა. ესაა ფულადი მანიპულაციები, მზადების პროცესში მყოფი უპრეცედენტო პავლოვისეული ფასების მომატება, მკვეთრი ვალახრა მარჯვნივ არმიის გამოყენება სამოქალაქო მოსახლეობის

წინააღმდეგ, ერთშორის კონფლიქტების გამო დაღვრილი სისხლი, ეკონომიკის კრახი, ცხოვრების დაბალი დონე და ა. შ. აი, ექვსწლიანი გარდაქმნის შედეგი და მთავარი სწორედ ეს არის. დღეს ყველაფერი უკუსვლით მიდის, არის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდების შეინარჩუნების, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ცენტრის რეინიცირების ცდები. ამასთან არ ჩანს რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესების დანახვის სურვილი. მას შემდეგ, რაც მე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ამირჩეს, ამომრჩეველები დაყინებით მოითხოვდნენ ცენტრის ხელმძღვანელებთან თანამშრომლობას. გულახდილად ვიტყვი და ღმერთიც ხედავს, რომ ბევრჯერ ვცადე თანამშრომლობა. ასეთი თანამშრომლობის შემდეგ მე ჩემს პირად შევლომ ვთვლი პრეზიდენტისადმი გამოჩენილ ზედმეტ ნდობას. როგორც ყველაფერიდან ჩანს, ცენტრი არ დაინებებს რესპუბლიკებს დამოუკიდებელი ნაბიჯების გა-

დადგას. უკანასკნელი თვეების მოვლენების გულდასმით ანალიზის შემდეგ ვაცხადებ: 1987 წელს მე გაფრთხილებდით, რომ გორბაჩოვს ძალაუფლების აბსოლუტურიზაციისა და სწრაფი ახსნისთვის მან ეს კიდევ გააკეთა და ქვეყანა დიქტატურაზე მიიყვანა, რასაც ლამაზად „საპრეზიდენტო მმართველობას“ უწოდებდა. მე ვემიჯნები პრეზიდენტის პოზიციასა და პოლიტიკას, გამოვდივარ მისი დაუყოვნებლივ გადადგომისა და ხელისუფლების კოლექტიური ორგანიზაციისადმი — ფედერაციის საბჭოსადმი — გადაცემის მოთხოვნით. მე მწამს რუსეთისა და მოგვიწოდებ თქვენ, პატივცემულო თანამოქალაქეო, პატივცემულო რუსეთის მკვიდრო, გწამდეთ ჩვენი რუსეთის. მე გავაკეთე ჩემი არჩევანი, თითოეულმა უნდა გააკეთოს არჩევანი და განსაზღვროს თავისი ადგილი. მე მსურს, თქვენ გაიგონოთ და გაიგოთ ჩემი ნათქვამი. მე ასეთი არჩევანი გავაკეთე, მე ამ გზიდან არ გადავხვევ.

### სსრკ უზენაესი საბჭოს დადგენილება

რუსის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბ. ნ. ელცინის ცენტრალური ტელეინტერვიუ 1991 წლის 19 თებერვალს

### იქნება ვერ გაუგებრობა

გორის ელცინი პირველი არ იყო იმთ შორის, ვინც სსრკ პრეზიდენტის გადადგომა მოითხოვა. სულ ცოტა ხნის წინათ სსრკ პრეზიდენტისადმი უნდობლობაზე ლაპარაკობდნენ დეპუტატები ს. უმალატოვა და ვ. ალკნისი. ამიტომ რეაქცია, რომელიც ელცინის ტელეინტერვიუს მოჰყვა, პრეზიდენტის გადადგომაზე უფრო შორს-მიმავალი მიზეზებითაა ნაკარნახევი. თავისი გამოსვლიდან გორის ელცინმა ყველას გააგებინა, რომ საბოლოოდ ემიჯნება მ. გორბაჩოვის პოლიტიკას, გამოდის მისი სისტემიდან და ამდენად ამ ორ ლიდერს შორის რაიმე შეთანხმებაზე ლაპარაკი უახლოეს მომავალში შეუძლებელია. გარდა ამისა, როგორც ჩანს ბ. ელცინმა დაიწყო გადამწყვეტი ბრძოლა რუსეთის პრეზიდენტის პოსტის შემოღებისა და პერსპექტივაში ამ პოსტზე საკუთარი კანდიდატურის წამოყენებისათვის. ეს კი უკვე საესებო რეალური საფრთხეა ცენტრისათვის.

იმისათვის, რომ ელცინი არ აირჩიონ რუსეთის პრეზიდენტად, ორი გზა არსებობს: ან პრეზიდენტის დისკრედიტაცია უნდა მოხდეს, ან არჩევნების ჩატარება არ უნდა დაუშვან, ანდა საერთოდ — რუსეთის პრეზიდენტის პოსტის შექმნა. სწორედ ეს გამოიყვანა 21 თებერვალს, რუსის უზენაესი სა-

1. აღინიშნოს, რომ რუსის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბ. ნ. ელცინის 1991 წლის 19 თებერვალს ცენტრალური ტელეინტერვიუში გამოხატული დეპუტატების და მოქალაქეების მიმართული კანონიერად არჩეული ხელისუფლების უზენაესი ორგანოს დაშლის, სსრკ პრეზიდენტის დაუყოვნებლივ გადადგომის, ექვსწლიანი მმართველობის და ქვეყანაში საგანგებო სიტუაციის ქმნის.
2. ეთხოვოს რუსის უზენაესი საბჭოს, ფედერაციის საბჭოსა და სსრკ პრეზიდენტს განსაზღვროს თავიანთი დამოკიდებულება ბ. ნ. ელცინის აღნიშნული გამოხატულებისადმი.
3. სსრკ უზენაესი საბჭო მოუწოდებს სსრკ ხალხებს,

რესპუბლიკების უზენაეს საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს, ყველა პოლიტიკურ პარტიასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციას მოახლოდნენ ძალიან ციხილიდაცა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის ტაბიზაციისათვის, საბჭოთა საზოგადოების გაერთიანების დემოკრატიული საწყისების განმტკიცებისათვის, კანონიერად არჩეული უზენაესი ორგანოსათვის და სსრკ პრეზიდენტის ყოველმხრივი მხარდაჭერისათვის.  
სსრკ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბ. ლუპინსკი.  
მოსკოვი, კრემლი.  
1991 წლის 20 თებერვალი

### გაერო-კულტურული პრესის გამოხატულება

ელცინის ეს გამოსვლა, რომელიც მოუთმენლად ელოდა საბჭოთა საზოგადოებრიობა, საბჭოთა ხელმძღვანელებს ყველაზე ძლიერი და მწვავე კრიტიკა ახლანდელი შინა არეულობის პერიოდში.  
ელცინის პრეზიდენტ გორბაჩოვის გადადგომის მოთხოვნით გამოვიდა მაშინ, როცა საბჭოთა ხელმძღვანელი თავისი ადმინისტრაციის პოზიციების გამტკიცებას კრემლის ნაცადი დასაყრდენის — შეიარაღებული ძალის გამოყენებით ცდილობს.  
თავის მხრივ ცენტრალური ხელისუფლება ცდილობს ელცინი თავდაცვაზე გადაიყვანოს, სწორედ ამ მიზნით დაიწყო მან, სუ-

რესპუბლიკური რეფერენდუმის შემდეგ ჩატარდა, სავარაუდოა, რომ თავად ელცინმა მოითხოვოს გადადგომა, რათა მთლიანად გადაერთოს წინასაპრეზიდენტო სარჩევნო კამპანიაში.

**სხვათა შორის:**  
ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ რუსის სახალხო დეპუტატთა რიგ-გარეშე ყრილობის მოწვევას ხელი მოაწერა 272-მა დეპუტატმა.  
რუსის უზენაესი საბჭოს სოციალიზმის საბჭოთა გამოთვალა, რომ მათგან: 1 კოლმეურნეობის ტრაქტორისტი, 1 მექანიზატორი, 1 საბჭოთა მეურნეობის მუშა, 3 მემანქანე, 1 მეტალურგი და 1 მუშაა. დანარჩენები?  
თავად განსაჯეთ: 22 სკკპ საოლქო კომიტეტის მდივანია, 15 სკკპ საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, 5 ავტომობილური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, 18 საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, 5 საბჭოთა არმიის სამხედრო მეთაური, 5 სუესის უმაღლესი ჩინოსანი, 39 საწარმოს დირექტორი, 43 საბჭოთა მეურნეობის დირექტორი და კოლმეურნეობის თავმჯდომარე...  
თვით ყველაზე მოკრძალებული გამოთვალაზე შევხებით ხელისმომწერი დეპუტატთა შორის 91 გლეხის — „რუსეთის კომუნისტები“ — წევრია.  
სიტყვამ მოიტანა და, 21 თებერვალს სესიაზე სამმა დეპუტატმა უკვე განაცხადა, რომ მათ აღნიშნულ მიმართულებაზე ხელი არ მოუწერიათ.

### რას ფიქრობენ დეპუტატები

20 თებერვალს, დაახლოებით 2 საათისათვის სსრკ უზენაესი საბჭო უკვე ჩამოაყალიბა თავისი დამოკიდებულება ელცინის გამოსვლისადმი. გთავაზობთ გამოთქვამებს დეპუტატთა ზოგიერთი გამოსვლიდან:  
— გორის ელცინი თავისი გამოსვლით აშკარად ილაშქრებს სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირის წინააღმდეგ.  
— მისი გუმინდელი გამოსვლა სამოქალაქო ომისაკენ აშკარა მოწოდებაა.  
— ბ. ნ. ელცინის გამოსვლის შემდეგ სასწორზე დევს ჩვენი კავშირის, ჩვენი ხალხის კეთილდღეობა და მომავალი, უფრო მეტიც — მილიონობით ადამიანის სიცოცხლე და ხალხებს შორის მშვიდობა.  
— შევაჩეროთ გარდაქმნასა და დემოკრატიულ აღმართული ხელი!  
სესიის დილის სხდომაზე, რომელიც ორჯერ გადაიწვა ცენტრალური ტელევიზიით, სხვა აზრი არ გამოთქმულა.  
საღამოს იმათ აიღეს სიტყვა, ვინც სხვაგვარად ფიქრობს:  
— ბ. ნ. ელცინმა სიმართლე თქვა, სიმართლე კი ყურისთვის. ელცინს აქვს საკუთარი პოზიციის გამოხატვის უფლება. ის რესპუბლიკების, მათ შორის რუსის-ს სუვერენიზაციის გზაზე დგას. სსრკ უზენაესი საბჭო და პრეზიდენტი კი — უნიტარიაზმისა.  
— ელცინს არ მოუწოდებია სამოქალაქო ომისაკენ, არსებული

„მტკიცე კომუნისტია“, და უარყოფს. ძალაუფლების ისეთ დეცენტრალიზაციას, როგორსაც ელცინი და რესპუბლიკების სხვა ხელმძღვანელები მოითხოვენ. ელცინი გასული წლის ივლისში გავიდა პარტიიდან და თავის გარემოში შემოიკრიბა ძალიან, რომ ლეგიტიმურ საზოგადოებაში „დემოკრატების“ ანუ მარცხენა ფრთის სახელთ არიან ცნობილი. მართალია, ელცინი ამბობდა, რომ მას არ სურს პრეზიდენტობა და გორბაჩოვის ადგილის დაკავება, მაგრამ ის უთუოდ გახდებოდა პირველი, ფედერაციის საბჭოს რომ ხელში ხელისუფლება აეღო, რაც ძალზე ნაკლებდაა შესაძლებელი...  
ელცინი დიდი ხანია, რუსეთის ხალხთა მისების გმირი გახდა. ამასთან ის ანდრეი სახაროვის ნამდვილი მემკვიდრეცაა, რომელიც, როგორც ინტელიგენციის ლიდერი, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს რეფორმისტულ მოძრაობაში.  
„გაშინატონ პოსტი“

### სსრკ უზენაესი საბჭოს კულუარები

შესვენების დროს მთელი რიგი დეპუტატების ყურადღება მიიპყრო პროგრამა „ვრემის“ კომენტატორმა ს. ლომკინმა, რომელსაც წინააღმდეგ ელცინთან ინტერვიუ მიჰყავდა. ის, თავისი ლენინგრადაელი კოლეგის ა. ნევზოროვის მსგავსად, ამ დღეებში პოპულარულ პირად გვხვდება. იქცა. ერთნი მის ხელს ართმევენდნენ და ულოცავდნენ, მეორენი მოითხოვდნენ პასუხს, თუ რატომ იქცეოდა ასე თავისუფლად და სიტყვას აწვევდნენ მისადმი.  
— ინტერვიუს მომზადების დროს გქონდათ თუ არა საუბარი ხელმძღვანელების, სკკპ ცკ-ს რომელიმე წარმომადგენელთან? — ამ კითხვაზე ლომკინმა უპასუხა:  
— არა, სკკპ ცკ-ში მე არ ვყოფილვარ. ერთხელ შევხვედი ლ. კრავჩენკოს. მან მკითხა, თუ რა შეკითხვების დასმას ვაპირებდი ელცინისათვის.  
— თქვენ თავად გახურდათ ინტერვიუს წაყვანა?  
— არა, მე დამირეკეს და მითხრეს, რომ კრავჩენკო და სხვა ხელმძღვანელებიც თვლიან, რომ ამ რილის ყველაზე უკეთ მე ვაპირებდი თავს. ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო...  
— შეგაქვთ თუ არა კრავჩენკომ ინტერვიუს შემდეგ?  
— კრავჩენკომ მე მითხრა, რომ, მისი აზრით, ყველაფერი პროფესიონალურად იყო გაკეთებული. ეს იყო და ეს.

## სპორტი

## სტუდენტთა ბოლო მატჩი



ვა (ყაველაშვილი), ნემსაძე, გოგიაშვილი.

„ბას“: ღრეშერი, კვიციანი, შვიციანი (ნაყვინი), ლეშაძე, მარიაშვილი (ვოლოვიჩი), ნავროცკი, ვალაძე (შვერციანი), ვიტკოვსკი, ვაჩინა, კობლა (გაცეცა), შვენიჩიკო.

სულ პოლონელმა ფეხბურთელებმა საქართველოში ოთხი ამხანაგური მატჩი გამართეს, რომლებშიც შემდეგი შედეგები აჩვენეს: დამარცხეს თბილისის „შეგარდენი-1906“ ანგარიშით 7:2 და რუსთავის „გორდა“ — 3:0. ხოლო

თბილისის „იბერიასთან“ ორივე შეხვედრა წააგეს (შესაბამისად — 1:2 და 0:1).

დამოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ თბილისელებმა სტუმრებს ვარჯიშისა და დასვენების ყველა პირობა შეუქმნეს და, ალბათ, ამ ორივე გუნდის მეგობრული კონტაქტები მომავალშიც გაგრძელდება.

**უჩა ცარცია**

**სურათში:** „იბერიისა“ და „გას“-ს მატჩის მომენტი.

**ალექსანდრე კობრაშვილის ფოტო.**

**რეკლამის მსურველთა საყურადღებოდ!**

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ რეკლამებისა და განცხადებების შესაკეთებლად მიმართეთ სარეკლამო-სააგენტო „არგო-ბლიკს“.

**მისამართი:** თბილისი, ბუდეშვილის ქ. №1.

**ტელეფონი:** 37-06-64 ან 37-58-25 (11.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე დასვენების დღეების გარდა).

საყოფაცხოვრებო შინაარსის განცხადებების გამოქვეყნების მსურველებმა (აგელო ბინას, „გვესაპირებო“, „იველი“, „იველი-ბი“, „იველი-ბი“, „იველი-ბი“ და ა.შ.) მოგვართეთ 15.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.

შეგახსენებთ, რომ ორგანიზაციებისათვის გადასახადი 1 კვ.სმ-ში 4 მანეთია, კერძო პირებისთვის — 2 მანეთი.

**სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“**

**ძვირფასო თანამემამულენო!**

სამ წელიწადზე მეტია ლელა დავითის ასული ჰელიძე იმდენი თვალთ შესცქერის ეჭიმებას, რომლებიც უძლურნი აღმოჩნდნენ განკურნონ საშიში დაავადება, რომელიც ლეიკოზის სახელითაა ცნობილი მედიცინაში.

ფოთლის ლელას მოსწავლეებმა, უახლოესმა გულმემატყვიერებმა, კეთილშობილმა უცნობმა ადამიანებმა და მის სახელზე ჩოხატაურის აგრამრეზებანკში **ბასსნილი სახელმწიფო ანგარიში — 71101**. ამ ანგარიშზე ჩვეულებრივ ჩარიცხული დახმარებით იმ თანხის მიაღწევი, რაც საჭიროა საზღვარგარეთ გასამგზავრებლად და სამკურნალოდ. საჭირო შემთხვევაში ანგარიშზე ჩარიცხვები როგორც საბჭოთა მანეთი, ასევე ვალუტა.

იმერეთის სურვილი საბატიო წვლილი შეიტანოთ 32 წლის ახალგაზრდის სიკოვლის გადარჩენაში. გწამდეთ, რომ კეთილი საქმე არ დაიკარგება. სანთელ-საქმეველი ყოველთვის იბოვის თავის გზას...

**შემახსენებთ ანგარიშის ნომერს — 71101 ჩოხატაურის აგრამრეზებანკში.**

## აღაპიანი და კანონი

„ახალგაზრდა ივერიელის“ მკითხველებს აინტერესებთ აქვს თუ არა აღმინისტრაციას უფლება გადაიყვანოს ან გადააწვდოს მუშაკი ერთი სამუშაოდან მეორეზე მისი თანხმობის გარეშე? როგორია ანაღაურება? შეუწარმუნდება თუ არა შედავათები? და სხვა.

ამასთან დაკავშირებით ვებუდავთ გამოცემულმა „სამშობლოს“ იურიტიკის — **რომბარტ კოპტინის** წერილს.

საქართველოს რესპუბლიკის ადრე მოქმედი შრომის კანონმდებლობით (1988 წლის 24 მარტამდე) არამართლმორიერად ე. ი. კანონის აშკარა, უხეშ დარღვევად ითვლებოდა მუშაკის გადასაცვლება მისი თანხმობის გარეშე ერთი სამუშაოდან (თანამდებობიდან) მეორეზე, უკეთესი იცვლებოდა მუშაობის პირობებში, სპეციალობა, შედავათები, ხელფასი და სხვა. მაგალითად მდლოისა — სატვირთო ავტომანქანიდან მსუბუქ ავტომანქანაზე; ზენიკლისა — ერთი სამუშაოდან მეორეში; ინჟინრისა — ერთი განყოფილებიდან (სამუშაოდან) მეორეში.

კოდექსის 26-ე მუხლის დებულებით, ასეთი გადასაცვლება —

ფაქტიურად გადაყვანად ითვლებოდა. უკანონოდ გადაყვანილი მუშაკი, უკეთეს შრომის დაგვის განმხილველ ორგანოს (სასამართლოს) მიმართავდა — დავის განმხილველი ორგანო მუშაკს დაუყოვნებლივ აღადგენდა წინადად სამუშაოზე.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა რესპუბლიკების შრომის კანონთა კოდექსებში არსებული ამ მუხლის დებულება გარდაქმნა პერსონალისთან დაკავშირებით არსებული კანონის „ლაფსუსად“, „მოუღებელ ნორმად“ მიიჩნია და 1988 წლის 4 თებერვალს გამოსცა ბრძანებულება: „სსრკ შრომის კანონმდებლობაში ეკონომიკის მართვის გარდაქმნასთან დაკავშირებული ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ (საქართველოს სსრ — 24 მარტის).

რესპუბლიკის ამჟამად მოქმედი შრომის კანონთა კოდექსით, მუშაკის ასეთი გადასაცვლება, პირიქით, სავალდებულოა და დაკანონებულია კოდექსის 26-ე მუხლით.

ამ მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბებულია სრულიად ახალი, არსებითად შეცვლილი რედაქციით.

...სხვა სამუშაოზე გადაყვანად

არ ითვლება და მუშაკის თანხმობას არ საჭიროებს მისი გადასაცვლება იმავე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში ტერიტორიულად იმავე ადგილს მდებარე სხვა სამუშაო ადგილას სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფში, მუშაობის დაინარება მექანიზმზე თუ აგრეგატზე შრომის ხელშეკრულებით განპირობებული სპეციალობის, კვალიფიკაციის ან თანამდებობის ფარგლებში“.

პირობა მხოლოდ ერთია — შენარჩუნებული უნდა იქნეს სპეციალობა, კვალიფიკაცია ან მუშაკის თანამდებობა, რომელიც შეთანხმებული იყო შრომის ხელშეკრულების დავისას.

კეთილი და პატიოსანი — მაგრამ ხელფასი!

საბჭოთა ადამიანის ძირითადი საარსებო წყარო? — ასეთზე კრემლის, იმპერიის კანონმდებლები კრინტსაც არ ძრავენ და მორცხვად დღიან.

მოქმედი შკკ 93-ე მუხლით (აგრეთვე სხვა რესპუბლიკების კოდექსების შესაბამისი მუხლებით) იმ შემთხვევაში, როდესაც მუშაკს გადასაცვლების შედეგად მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით ხელფასი უმცირდება და უმრავლეს შემთხვევაში ეს ასედაც მოხდება — აძლევენ დანამატს უწინდელი (გადასაცვლებამდე) სამუშაო ხელფასის ოდენობამდე მხოლოდ ორი თვის განმავლობაში.

კრემლის კანონმდებლები ალბათ დიდ შედავთან პირობად თვლიან კანონიდან გამონაკლისი რომ დაუშვას: „აღმინისტრაციას უფლება არა აქვს გადასაცვლოს მუშაკი მისი თანხმობის გარეშე“.

ასე იცავს გარდაქმნა — პერესტროიკის ეპოქაში მშრომელთა უფლებებს რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის ხელისუფლება.

## თბილისის უნივერსალური (სახალხო-სანაღაპრო) საფონდო და საგაზრდო პირა

სააქციო საზოგადოების — „თბილისის უნივერსალური ბირჟა“ — დამფუძნებელთა საბჭო გაუწყებთ, რომ გრძელდება აქციებზე ღია ხელმოწერა.

ბირჟა იქმნება საქონლის, ნედლეულის, მომსახურების, ფასიანი ქაღალდების და სავალუტო ბაზრის განვითარების მიზნით.

ბირჟა ორგანიზაციას გაუწყებს მატერიალური რესურსების და ნედლეულის, საწარმო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის, სურსათის, სახალხო მოხმარების საგნების საბითუმო ვაჭრობას და აგრეთვე ფასიანი ქაღალდებით და უცხოური ვალუტით ოპერაციების წარმოებას.

ბირჟის საწესდებო ფონდის სავარაუდო ოდენობა — 20 მილიონი მანეთია. საწესდებო ფონდი დაყოფილია 100 ათასი მანეთის ნომინალური ღირებულების 200 აქციად. მათ შორის 180 უბრალო სახელობითი აქციაა, 20 კი პრივილეგირებული სახელობითი.

ბირჟის უბრალო აქციების მფლობელებს აქვთ უფლება ბირჟის მართვაში მონაწილეობისა, დივიდენდის (ბირჟის შემოსავლის ნაწილის) მიღებისა და აგრეთვე ექსპნაზე ბირჟაზე სავაჭრო ოპერაციების განხორციელების საშუალება.

აქციებზე ხელმოწერის საბოლოო ვადაა 1991 წლის 1 მარტი. დამფუძნებელი კონფერენცია შედგება 1991 წლის 6 მარტს.

ბირჟის აქციონერობის მსურველმა იურიდიულმა და კერძო პირებმა დამფუძნებელი კონფერენცია ჩატარებამდე უნდა შეიტანონ აქციის ნომინალური ღირებულების 30 %-ის ოდენობის თანხა საანგარიშსწორებო ანგარიშზე № 60900085, კოდი 805227 საქართველოს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ბანკში.

ბირჟის შექმნასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შეიძლება სამუშაო დღეებში 10-დან 16 საათამდე შემდეგ მისამართზე:

თბილისი, კონსტიტუციის მოედანი, სატელეფონო „აქარა“, ბირჟის საორგანიზაციო კომიტეტი.

ტელ: 36-90-89, 36-94-80.

**უყარადღება!**

საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ასოციაცია „იყალთო“ — XX1“ გთავაზობთ: ყველა სეზონის, სხვადასხვა მოდელის იმპორტულ ფეხსაცმელს, პარფიუმერიას, ფართო მოხმარების ნაწარმს.

ჩვენ ორგანიზებას ვაკეთებთ იმპორტული საქონლის მოწოდებას მანეთებში. თუ თქვენ შეგიძლიათ გადასხდეთ ვალუტით, საქონელს მოგაწოდებთ პირველ რიგში, უმოკლეს ვადაში.

ნიმუშები გამოფენილი იქნება 28 თებერვალს, 1 და 2 მარტს ჩაის სახლის სავაჭრო დარბაზში.

აქვე ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეეძლება გააფორმონ ხელშეკრულება შეჩვენული საქონლის შექმნაზე.

ასოციაცია აგრეთვე ორგანიზაციას გაუკეთებს სამრეწველო იმპორტული დანადგარების მოწოდებას. მოთხოვნასთან ერთად გთხოვთ, წარმოადგინოთ დანადგარის ტექნიკური დავალება და გამოსაყენებელი ნედლეულის სერტიფიკატი.

ცნობებისათვის მოგვართეთ მისამართზე: რუსთაველის გამზარი 52, ოთახი 511, ტელ.: 99-55-05, 93-84-79.

<p><b>ტელეფონები:</b> მისაღები — 93-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-58; წერილების ვაწყოფილება — 99-00-49.</p>	<p><b>გაზეთი ბავოლის კვირაში სამუშაო საშუალებით, სურათით, შავით.</b> რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდება.</p>	<p><b>რედაქტორი ვარაგ ბალაჩიშვილი</b></p>
<p>საქართველოს კვ. ც. ხტაშა 380086, თბილისი-96, გ. კობახიძის ქ. № 14, იბეჭდება ორნაბრუნო წიხით სავაჭრო კორპუსში, სომარიალის № 29 — 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15. Наш индекс 68-400</p>	<p><b>რედაქციის მისამართი</b> მ. თბილისი — 880088 მ. კოსტავას ქ. № 14.</p>	